ხობის მოამბე

„თვითშეფასებიდან უმეტესი ტაბუდებულია საქართველოს ყოველდღიურობის საფარველისა. საცა უნდა ვიყოთ, იქი ყველგან ვიმყოფებით... ყოველი საზოგადოებრივი, რომელიც ტაბუდ ცოდნით თუ ზეგრად ვაჩვენებთ, ნაწილი-ნაწილად ანის ვიაკოფილი, რომ მივიდეს ვიდა ანგრევისა აკეთილი იყოს.“

№2 (7097) 31 მარტი, 2018 წელი.

ფასი 0,70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

დღეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა

საქართველოს ისტორიაში იშვიათია პიროვნება, ზვიად გამსახურდიას ბედივით რომ ჰგავდეს საკუთარი სამშობლოს ტრაგიკულ ბედს.

ზვიადი უტეხი და უშიშარი ქართული სულის, ქართული ცნობიერების განსახიერებაა. დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში გაზრდილი ზვიადი საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოა. მისი ეროვნულობა, ზნეობრიობა, განსწავლულობა, მართლმადიდებლური მიმტევებლობა და სიკეთე დღესაც გზას უნათებს მილიონობით ქართველს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენმა მრავალტანჯულმა ქვეყანამ თავისი სულიერი მისია აღასრულოს.

* * *

დღეს საქართველო ისევ გადასარჩენი და გასათავისუფლებელია, როგორც არასდროს, ახლა გვჭირდება ერთიანობა და სიმტკიცე, გონიერება და სულიერი სიმშვიდე...

გვჯერა, ზვიად გამსახურდიას სამშობლოსთვის თავგანწირვის მაგალითი ქართველ პატრიოტებს, მთელ ქართულ საზოგადოებას ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გადასარჩენად გადამწყვეტ ბრძოლას გაუადვილებს.

ნათელი დაადგეს ზვიად გამსახურდიას სულს ზეცაში და ნაწამებ სხეულს - მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში...

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

28 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებებისთვის, ორგანიზაციებისა და იურიდიული პირებისთვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცდა გადასახადის ამოღების ინსტრუქცია და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის ნიმუში.

სხდომაზე ასევე განიხილეს დადგენილების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმადაც მერიის 2 სტრუქტურულ ერთეულში და საკრებულოს აპარატში განხორციელდა თანამდებობათა გარდაქმნა.

სხდომაზე მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების თაობაზე, რომელიც განახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალსადენი სისტემის მოვლა-პატრონობასა და მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფას.

განკარგულების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საპრივატიზებოდ დამტკიცდა გაღმა საჯიჯაოს ხიდის დემონტაჟის, საჯიჯაოს საბავშვო ბაღის შენობის კაპიტალური რემონტისა და ხობის კინოთეატრის შენობის სახურავის დემონტაჟის შედეგად მიღებული შავი ლითონი ჯართი, რომლის წონა შეადგენს 4 ტონასა და 800 კგ-ს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ამ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

შეხვედრა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებზე

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს და საკრებულოს წევრებს შეხვდნენ. შეხვედრაზე აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა, ინვაზიური მავნებლის განადგურების მექანიკური საშუალებები და მოსახლეობის ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

შეხვედრას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის საკონსულტაციო სამსახურისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

„იმისათვის, რომ ფაროსანასთან ბრძოლა იყოს ეფექტური, აუცილებელია კოორდინირებული მოქმედება. მხოლოდ სახელმწიფო რესურსებით ვერ მივაღწევთ სასურველ შედეგს, აუცილებელია საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა და ინფორმირებულობა. უნდა შევქმნათ მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც შესაბამისი პრეპარატებით შეწამლავენ მიტოვებულ ოჯახებს და ეზოებს. სახელმწიფო სტრუქტურებმა, ადგილობრივმა თვითმმართველობამ და მოსახლეობამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მაქსიმალურად შევამციროთ ზარალი და მავნებლის გავრცელების არეალი“,–აღნიშნა შეხვედრაზე მაჟორიტარმა დეპუტატმა.

მავნებელთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს: აქტიურ საინფორმაციო კამპანიას, სრულმასშტაბიან მონიტორინგს და მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს (ქიმიური წამლობა).

მიმდინარე წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფო 50 მილიონ ლარამდე დახარჯავს. გაძლიერდება მონიტორინგი, დამონტაჟდება 100 ათასზე მეტი ფერომონი და იმუშავებს 120 ერთეული მაღალი გამავლობის (70 მაღალი გამავლობის ავტომობილი თერმული ნისლის აგრეგატით, 50 მცირემოცულობიანი შემასხურებელი ტექნიკა) ავტომობილი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

შეხვედრები საჯიჯაოსა და ბიის მოსახლეობასთან

ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია საჯიჯაოსა და ბიის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ანგულ მიქავა და მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის უფროსი შოლინა კანკია ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის მერმა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობას სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს და განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს.

„მადლობა მინდა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის. ჩვენთვის, თითოეული თქვენგანის აზრი მნიშვნელოვანია. სახელმწიფო სტრუქტურები და ადგილობრივი თვითმმართველობა ახორციელებს არაერთ მნიშვნელოვან პროექტს, რომელთა შედეგები სასიკეთოდ აისახება თქვენს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამაზე. მიმდინარე წელს სახელმწიფო 50 მილიონ ლარამდე დახარჯავს. მიმდინარეობს ფერომონების დამონტაჟება, მოსახლეობას დაურიგდა შესაბამისი პრეპარატები, იმუშავებს 120 ერთეულ მაღალი გამავლობის (70 მაღალი გამავლობის ავტომობილი თერმული ნისლის აგრეგატით, 50 მცირემოცულობიანი შემასხურებელი ტექნიკა) ავტომობილი. იმისათვის, რომ მაქსიმალურად შევამციროთ ინვაზიური მავნებლის გავრცელების არეალი და ზარალის მოცულობა აუცილებელია ყოველი მოქალაქე აქტიურად ჩაერთოს ფაროსანას წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებში“,–აღნიშნა მოსახლეობასთან შეხვედრისას მერმა.

შეხვედრებს სისტემური ხასიათი ექნება. მუნიციპალიტეტის მერი ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას შეხვდება და უშუალოდ მათგან მოისმენს წინადადებებს დასახლებისთვის აქტუალურ საკითხებზე.

მავნებლის დამჭერი ხაფანგები მონტაჟდება

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მავნებლის დამჭერი ხაფანგების (ფერომონები) განთავსება მიმდინარეობს. დღეისათვის, 11 ადმინისტრაციულ ერთეულში დადგმულია 85 ერთეული ხაფანგი; მუნიციპალიტეტში სულ 153 ერთეული ხაფანგი დაიდგმება, განისაზღვრება მავნებლის გავრცელების არეალი და დადგინდება ქიმიური შესხურების ზუსტი თარიღი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისგან შექმნილია მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც ადგილზე ეცნობიან მდგომარეობას და სწავლობენ მავნებლის შესაძლო გავრცელების არეალს.

აზიური ფაროსანა (იგივე აზიური ბაღლინჯო, ლათ.: Halyomorpha halys) წარმოადგენს მავნებელ მწერს, რომელიც იკვებება მასპინძელი მცენარეებით. მავნებელი საქართველოში პირველად 2015 წელს გამოჩნდა. მისი სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაა.

* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლებმა, შავღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადგილობრივ ფერმერებთან მორიგი შეხვედრა გამართეს. ძირითადად ყურადღება გამახვილდა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდებზე. ფერმერებს მიეწოდა ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ მავნებლის საწინააღმდეგოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე (აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სტრატეგია იხილეთ ბმულზე http://moe.gov.ge/.../aizuri_paro.../parosanas_programa_2018.pdf)

და ასევე სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროგრამებსა და პროექტებზე(დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე http://apma.ge/). საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გაეცა.

შეხვედრა სტუდენტური პარლამენტის წევრებთან

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეები ირაკლი (დაჩი) ბერაია და პაატა კვიჟინაძე სტუდენტური პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებს შეხვდნენ.

შეხვედრა სტუდენტების ინიციატივით გაიმართა. ახალგაზრდებმა პარლამენტის წევრებისგან შიდა საკომიტეტო საქმიანობის შესახებ რეკომენდაციები მოისმინეს.

ხობის მუნისიპალიტეტში დასუფთავების აქსია გაიმართა

ხობის მუნიციპალიტეტში, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დასუფთავების აქცია გაიმართა. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, აქციის ფარგლებში დასუფთავდა მდინარე ხობის სანაპირო ზოლი.

აქციაში ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია, საკრებულოს წევრები, თვითმმართველობის მოსამსახურეები და იურიდიული პირების თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

22 მარტი წყლის საერთაშორისო დღედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დააწესა. ეს არის დღე, როდესაც მსოფლიო საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი პროდუქტია სასმელი წყალი კაცობრიობისთვის და რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის რესურსების მოფრთხილებასა და დაცვას.

ტრენინგი ოჯახისა და სასოფლო ამბულატორიების ექიმებისთვის

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის წარმომადგენლებმა ოჯახისა და სასოფლო ამბულატორიების ექიმებისთვის ტუბერკულოზის, შიდსისა და „c“ ჰეპატიტის გამოვლენისა და სკრინინგის საკითხებზე ტრენინგი გამართეს.

პირველი აპრილიდან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში „c“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის შესაბამისად, მოხდება ინფიცირებულ პირთა გამოვლენა და მკურნალობა. პროგრამა, ასევე ითვალისწინებს ტუბერკულოზისა და შიდსის დიაგნოსტიკას.

ხობის მუნიციპალიტეტში „ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, ჰეპატიტის სკრინინგის ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში და პარტნიორობის განვითარება დაავადებათა ადრეული გამოვლენისთვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში“. პროგრამა ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით ხორციელდება.

„რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“

თბილისში კონფერენცია სახელწოდებით–„რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ გაიმართა, რომელშიც ხობის მუნიციპალიტეტის მერი, გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა მონაწილეობდნენ.

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს და დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ზურაბ ალავიძემ, გაეროს კოორდინატორმა და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში, ნილს სკოტმა, სამხრეთ კავკასიაში ავსტრიის განვითარების საagენტოს ოფისის ხელმძღვანელმა გერჰარდ შაუმბერგერმა, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის რეგიონულმა დირექტორმა, ოლივიერ ბურკიმ.

ღონისძიების დასასრულს გაიმართა პროექტის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ცერემონია– საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამას შორის.

კონფერენცია „გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) ორგანიზებით, „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და „ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის“ (ADC) ხელშეწყობით გაიმართა.

ახალი ინიციატივის წარდგენას საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ტრენინგი სოფლის მეურნეობის საკითხებზე

ქალაქ ხობში, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენლები ადგილობრივი ფერმერებისთვის ტრენინგს მართავენ. მომხსენებელმა ტრენინგის მონაწილეებს დაფნის გამრავლების წესების, თესვის, ვეგეტაციის, პლანტაციის გაშენებისა და დაავადებებთან ბრძოლის საშუალებების შესახებ თანამედროვე მიდგომები და რეკომენდაციები გააცნო.

ტრენინგის დასრულების შემდეგ „ელკანას“ წარმომადგენლები ადგილობრივ ფერმერებთან ერთად ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში დაფნის სადემონსტრაციო ნაკვეთს დაათვალიერებენ.

ღონისძიება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის“ (AMMAR) პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო–ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ორგანიზებით ხორციელდება.

,,მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“

2011 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით 21 მარტი, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ დაწესდა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც ამ დღეს დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები იმართება.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე აღინიშნა ხობის მუნიციპალიტეტშიც. ხობის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მოსწავლეებისა და მერიის თანამშრომელთა მონაწილეობით აქცია-მსვლელობა სახელწოდებით „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“ გაიმართა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

კონკურსის გამარჯვებული

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა“ და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროექტის ფარგლებში თემაზე „ჩემი ევროპა“ გამოცხადებული ესეების კონკურსში ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ ნიკა ვადაქარიამ გაიმარჯვა.

ესეების კონკურსი „ჩემი ევროპა“ მოიცავდა ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს: რას ნიშნავს მისთვის ევროპა? რას გულისხმობს ევროპული არჩევანი? როგორ წარმოუდგენია ევროპასთან დაახლოება? როგორია მისთვის მოლოდინი, მოსაზრებები იმ პერსპექტივების თაობაზე, რაც ევროკავშირში ინტეგრაციიდან გამომდინარეობს ქვეყნისთვის და პირადად მისთვის.

გამარჯვებული მოსწავლე და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი მედეა ვარდია მიწვეულნი არიან ლოპოტას საგაზაფხულო ბანაკში.

„გავამწვანოთ ჩვენი ეზო“

27 მარტს, ქალაქ ხობის №1 საბავშვო ბაგა-ბაღში, ღონისძიება–„გავამწვანოთ ჩვენი ეზო“ გაიმართა. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა მცენარეების შესახებ „სასკოლო მზაობის პროგრამით“ გათვალისწინებული აქტივობები წარმოადგინეს. ხოლო ღონისძიების დასასრულს, გაიმართა გამწვანების აქცია–პედაგოგებმა, აღსაზრდელებმა და მშობლებმა ბაღის ეზოში მარადმწვანე ხეების ნერგები დარგეს.

თემის მიზანია გააცნოს ბავშვებს მცენარეები, მათი განვითარების ციკლი და მნიშვნელობა ადამიანისა და გარემოსთვის. ბავშვები დაფიქრდებიან იმაზე, თუ რა არის ცოცხალი ბუნება. მათ მიეცემათ საშუალება, დააკვირდნენ სხვადასხვა სახეობის მცენარეებს, განსაკუთრებით, ხეებს, მათ ნაყოფსა და თესლებს; გაარკვიონ, როგორ იკვებება მცენარე, რა არის საჭირო მისი განვითარებისთვის.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, საკრებულოს განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია ესწრებოდნენ.

ძველი ხიბულის გოგონათა გუნდი რეგიონალური პირველობის გამარჯვებულია

სამეგრელო-ზემო სვანეთში, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონული თამაშები მიმდინარეობს.

ფრენბურთში რეგიონული პირველობის გამარჯვებული ძველი ხიბულის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი გახდა; ხოლო, ვაჟმა ფრენბურთელებმა მესამე ადგილი დაიკავეს. ძველ ხიბულელ მოსწავლეებს მედლები, სიგელები და თასები გადაეცათ.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, საქართველოს ყველა რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს. მისი მიზანია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მოზარდების ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში.

შეუწყნარებელია კათოლიკოს–პატრიარქის შეგონებათა იგნორირება!

ქართული საზოგადოება, თითქოსდა, შეეჩვია ვირტუალურ სამყაროში ცხოვრებას. ცნობილია, რომ ადამიანთა 50-60 პროცენტი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მიდრეკილია კომფორმიზმისკენ და ადვილად ექცევა სხვისი, უწინარესად კი ე.წ. ცნობადი, მოდური სახეების ზეგავლენის ქვეშ. ამჟამად მთელი სიგრძე-სიგანით დგას საზოგადოების წინაშე **დილემა: შეინარჩუნოთ ჩვენი კულტურა, ტრადიციები, ეროვნული ფასეულობები, თვითმყოფადობა?**

კიდევ უფრო სავალალოდ გვექნებოდა საქმე, განგაშის ზარი რომ არ შემოეკრა **ერის სულიერ მამას, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს,** რომელმაც მოგვიწოდა, გვყოლოდა სამი და მეტი ბავშვი. ამან ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ქართველ საზოგადოებაში – დაიბადა **34 500-ზე მეტი ჩვილი, რომელთაც ერგოთ უდიდესი პატივი, გამხდარიყვნენ კათალიკოს-პატრიარქის ნათლულები.**

მიუხედავად ამისა, ჯერ-ჯერობით მაინც არ გვაქვს საქმე სანუგეშოდ. ჩვენდა სამწუხაროდ, **უფლის უძღები შვილები ხშირად ყურს არ ვუგდებთ ჩვენი ბრძენი სულიერი მამის შეგონებებსა და რჩევა-დარიგებებს.** ეს შეგონებები და რჩევა-დარიგებები კი ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების, ყოველდღიური ყოფის საჭირბოროტო საკითხებს შეეხება. პატრიარქის შეგონებათა იგნორირებით კი აუნაზღაურებელ ზიანს ვაყენებთ ქვეყანას, მისი წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საერთო ეროვნულ ამოცანებს.

განსაკუთრებით ბევრი გადაუჭრელი პრობლემა დაგვიგროვდა განათლებისა და მეცნიერების სფეროში, რომელსაც არა მგონია, **კოსმეტიკურმა „შეკეთება-შელამაზებამ“ რამე უშველოს.** ხშირ-ხშირად იცვლებიან ამ დარგის მესვეურები და ყველანი იჩემებენ რაღაც რეფორმების განხორციელებას. **სულ თავიდან ერთმა მოზარდთა აღზრდა, მათი სწავლა-განათლება, ცოდნით გამდიდრება პრიმიტული უნარ-ჩვევების ინსტიქტურ გამომუშავებამდე დაიყვანა, სხვამ კი თავისი „ორიგინალური მოღვაწეობა“ კომბლესა და ქართული ზღაპრების სხვა გმირების გაქილიკება-გაშარჟებითა და მწვავე კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარებით განაგრძო და ბოლოს აღსაზრდელთათვის ვაშლების დარიგებით დაამთავრა.**

ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ მათ ფუჭ მეცადინეობას აქამდე **არ მოჰყოლია რამე სასიკეთო, ხელშესახები შედეგი და ვერც მოჰყვებოდა.** არადა, **სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები უთუოდ საჭიროებენ რადიკალურ რეფორმირებას,** უნდა დავუბრუნოთ მათ ადრინდელი დიდება და პრესტიჟი, მომავალ თაობას შევუქმნათ სრულყოფილი განათლების მიღების, მეცნიერების უახლესი მიღწევების დაუფლების ყველა პირობა, თუმცა, რომელ დიდებასა და პრესტიჟზეა საუბარი, როცა ზოგიერთ მინისტრს ქართული პედაგოგიკის მონაპოვრებზე სულაც გაუკუღმართებული წარმოდგენები აქვს.

2016 წლის აგვისტოს წილად მხვდა „ბედნიერება“ აწ უკვე ***ნამინისტრალის, ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას სენაკის მუნიციპალიტეტის მასწავლებლებთან შეხვედრას დავსწრებოდი.*** *ვისარგებლე შემთხვევით და ბატონ მინისტრს ვთხოვე, ეშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რათა აღედგინათ იმ დამსახურებული, საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერების ღირსება და პატივი, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დროს „ჩარეცხილების ამალაში“ აღმოჩნდნენ და თავიანთ საყვარელ სამუშაოს მოსწყვიტეს. ისინიც, შიმშილისაგან თავი რომ გადაერჩინათ, იძულებული გახდნენ, სხვადასხვა დაწესებულებებში დარაჯებად თუ სხვა, მათთვის შეუფერებელ სამუშაოზე მოწყობილიყვნენ. ჩემს თხოვნაზე აწ უკვე ყოფილი მინისტრი წამით ჩაფიქრდა, დინჯად გაიარ-გამოიარა და მერე დაუფარავად განაცხადა, რომ ის პატივს არ სცემდა იმ „ჩარეცხილ“ მეცნიერებს–ისინი თავის დროზე გოჭებით და ინდაურებით იცავდნენ დისერტაციებსო.*

ასე აფასებდა მინისტრის სავარძელში შემთხვევით ჩასკუპებული ახალგამოჩეკილი განათლებისა და მეცნიერების მესვეური თავის ყოფილ პროფესორ-მასწავლებლებს.

თავის დროზე სულიერი მამის შეგონება–სკოლებში შემოგვეყვანა ფსიქოლოგები, რომ შეესმინათ, ვინ იცის, იქნებ, სასიკეთოდ შეცვლილიყო სასწავლო დაწესებულებებში მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, განმუხტულიყო მოზარდთა შორის დაპირისპირება, დარეგულირებულიყო მათ შორის ურთიერთობა, საწყის ეტაპზევე განეიტრალებულიყო კონფლიქტები და თბილისში, 51-ე სკოლის შორიახლოს, ხორავას ქუჩაზე არ დატრიალებულიყო საშინელი ტრაგედია, რომელმაც ორი უდანაშაულო მოზარდის სიცოცხლე შეიწირა, თავიანთი თანატოლების მკვლელები გახადა ამ საბედისწერო სისხლიანი დაპირისპირების მონაწილე ყმაწვილები და სიცოცხლე წამებად, ტანჯვა-წვალებად უქცია დაღუპული ბავშვების მშობლებს, მათ ახლობლებს.

სამწუხაროდ და სავალალოდ მხოლოდ ამ ტრაგედიის შემდეგ ალაპარაკდნენ ერთხმად ყველანი სკოლებში **ფსიქოლოგიური სამსახურის შემოღების საჭიროებაზე. დანაშაულებრივად დაგვიანებული, ურემს მიყოლებული მაღლია, მაგრამ მაინც კარგია, ბოლოსდაბოლოს ყურად რომ იღეს პატრიარქის შეგონება**.

თანამედროვე ფსიქოლოგიას დღეს ძალუძს ადამიანთა შორის ურთიერთობაში წამოჭრილი **ურთულესი პრობლემების შესაძლო შედეგების წინასწარგანჭვრეტაც და დარეგულირებაც.**

წარმატებული მოსწავლის სტატუსის მოპოვების უმთავრესი კრიტერიუმი უნდა გახდეს მხოლოდ და მხოლოდ **სანიმუშო სწავლა, ზნეობრივად გამართული, ყველასათვის მისაბაძი ყოფაქცევა.** მოზარდებსაც და მათ აღმზრდელებსაც უნდა მიეწოდოთ აპრობირებული, პრაქტიკაში გამოცდილი რეკომენდაციები, რჩევები.

ამასთანავე, ფსიქოლოგებს უნდა მიეცეთ უფლება, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროებისდა მიხედვით, დამოუკიდებლად იმოქმედონ შექმნილ სიტუაციაში. მართალია, **ფორმაციათა ტრანსფორმაცია ყველა ქვეყანაში განაპირობებს ტრადიციულ ღირებულებათა განახლებას, მაგრამ ამან არანაირად არ უნდა დააზიანოს განათლების სისტემა, არ გაამრუდოს სწავლა-აღზრდის პროცესი. ხელაღებით არ უნდა უარყო თაობათა მიერ დაგროვილი გამოცდილება.**

კარგა ხნის წინათ ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა ***ილია ჭავჭავაძის*** *იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე მიმიწვია. ცოდნა-განსწავლულობაში მოსწავლეთა ორი ჯგუფი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. შეჯიბრების ერთ-ერთი პირობის თანახმად, თითოეულს დიდი ილიას რომელიმე სამი-ოთხსტროფიანი ლექსი ზეპირად უნდა წარმოეთქვა. ათი მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო ამ არცთუ რთული პირობის შესრულება. ვეღარ მოვითმინე და მასწავლებელს მორიდებით ვუთხარი–ბავშვები სკოლას ამთავრებენ და როგორ მოხდა, რომ მათ ჩვენი სულიერი მამის ერთი პატარა ლექსი მაინც არ იციან ზეპირად-მეთქი.*

მასწავლებელი მოიღუშა და, მისი აზრით, გამაქილიკებელი კითხვით შემომიტია:

– თქვენ, ალბათ, ბღაჭიაშვილზე დაწერილი ლექსიც კი გეცოდინებათო ზეპირად.

– დიახ, ვიცი, მერე რა არის ამაში ცუდი-მეთქი და ნახევარი საუკუნის წინათ ნასწავლი ლექსი წავუკითხე.

–ჰოდა, ამიტომაც გაქვთ კარგად საქმეო.

ეს პოლემიკა, სააკაშვილმა „ჩარეცხილებად“ რომ გამოგვაცხადა, სწორედ იმის მომდევნო წელს გაიმართა, თუმცა, არც ამჟამად გვაქვს საქმე უკეთესად. აი, ამის ერთი მაგალითიც.

რამდენიმე თვის წინათ ერთ-ერთი ცნობილი პოეტის საიუბილეო საღამოზე გახლდით. XI-XII კლასების მოსწავლეები ათ თუ თორმეტ მაგიდას შემოსხდომოდნენ, მაგიდებზე წიგნები გადაეშალათ და ლექსებს კითხულობდნენ. ბავშვებს მოკრძალებით ვურჩიე, ლექსები ზეპირად წარმოეთქვათ. ჯერ ერთი, აუდიტორიასთან უფრო კარგი ვიზუალური კავშირი გექნებათ და, მეორეც, რომ სხედხართ, უხერხულ შთაბეჭდილებას ტოვებთ-მეთქი.

შეჯიბრების მესვეურებს შევატყვე, რომ არ მოეწონათ ჩემი დარიგება, მაგრამ მაშინ არაფერი უთქვამთ. მოგვიანებით კი ჩემი სამსახურის უფროსმა მირჩია: ბავშვებთან, მათ მშობლებთან და მასწავლებლებთან უფრო ფრთხილად უნდა იყოთ და ყოველი სიტყვა კარგად უნდა აწონდაწონოთო. თქვენმა მაშინდელმა დაუფიქრებელმა რჩევამ მშობლები და მასწავლებლები ძალიან გაანაწყენა.

რით შეიძლება აიხსნას ასეთი კურიოზები? ჩემი აზრით, მხოლოდ იმით, რომ პედაგოგები ერიდებიან კონფლიქტს მათი აღსაზრდელების მშობლებთან მას შემდეგ, რაც მათ დაიწყეს სასწავლო პროცესებში ჩარევა და მასწავლებლებზე ფაქტობრივად კონტროლი დააწესეს და ხშირად ისეთ რამეზეც კი უყაბულდებიან, რომ მერე თვითონაც უკვირთ, ეს როგორ დავუშვითო.

არ უნდა გაგვიკვირდეს, მასწავლებლის ასეთი ქცევა. იგი ყველანაირად ერიდება ბავშვთანაც და მის მშობლებთანაც კონფლიქტს, თანაც, დარწმუნებულია, რომ მშობლები თავიანთ შვილებს უმისოდაც აუცილებლად მოამზადებენ რეპეტიტორთან და უმაღლესშიც მოაწყობენ.

ბევრს მიაჩნია, რომ უნდა შემცირდეს საგამოცდო საგნები, მე კი პირიქით მგონია, გამოცდა ყველა დისციპლინაში უნდა ტარდებოდეს. ამის აუცილებლობაში პრაქტიკა მარწმუნებს...

ყველა უბედურების თავიდათავი ის არის, რომ **მოსწავლეები მხოლოდ იმ საგნებს სწავლობენ, რომელშიც გამოცდას აბარებენ, თანაც, ამ საგნებსაც ზერელედ, საყველპუროდ ითვისებენ, რადგან იციან, რომ მწირი, დაზუთხული ცოდნა სულ რამდენიმე დღით, მხოლოდ გამოცდების ჩასაბარებლად სჭირდებათ.**

არ შეიძლება მოკლედ არ შევეხოთ **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემასაც,** რომელმაც, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ვერა და ვერ გაამართლა. სკოლის დირექტორთა უმრავლესობის დაკვირვებით, არანაირი განსხვავება არ არის პრაქტიკოსი და მაღალი სტატუსის მქონე უფროსი და წამყვანი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს შორის, უფრო მეტიც, ზოგჯერ **პრაქტიკოსი მასწავლებლები უფრო მაღალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს, ვიდრე ატესტირებულ-სერტიფიცირებული პედაგოგები.**

რა არის ამის მიზეზი? ვფიქრობ, პირველ რიგში, ის **მოტივაცია, რომელიც უბიძგებთ, მოიპოვონ მაღალი სტატუსი და მიაღწიონ კარიერულ წინსვლას, რათა გაზრდილი ხელფასი მიიღონ** და სულაც არ ანაღვლებთ, როგორი იქნება გაკვეთილების ხარისხი.

მოსწავლეთა ერთ ჯგუფს გაკვეთილებს **ატესტირებულ-სერტიფიცირებული პედაგოგები უტარებენ, ხოლო მეორეს ჩვეულებრივი პრაქტიკოსი მასწავლებლები. ამ შემთხვევაში მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის ერთგვარ დისკრიმინაციასთან ხომ არ გვაქვს საქმე, განსხვავებული კვალიფიკაციის პედაგოგები, ბუნებრივია, განსხვავებული ხარისხის ცოდნას აწვდიან მოზარდებს და ამით, ჩემი აზრით ბავშვები ზარალდებიან.**

თავის დროზე ამ კითხვით მივმართე მაშინდელ განათლების მინისტრს, ქალბატონ **თამარ სანიკიძეს,** რომელმაც მიპასუხა: **არა, არც რამე დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე და არც არავინ ზარალდება, რადგან რიგითი და უფროსი მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი არსებითად არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგანო, ანუ თუ სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი, მართლა, არსებითად არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან, ეს იმას ნიშნავს, მინისტრმა მან ფაქტობრივად აღიარა, რომ რეფორმას დასახული მიზნისთვის არ მიუღწევია და რომ არაფერი ვთქვათ, მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფისათვის სხვადასხვა ხარისხის ცოდნის მიწოდების არამართლზომიერებაზე, პედაგოგთა ხარისხობრივი რანჟირების შემოღება ჩვენი ისედაც გასაცოდავებული ბიუჯეტის გაყვლეფის კიდევ ერთი საშუალება ყოფილა.**

ქვეყანის საგამანათლებლო სისტემაში შექმნილი არაორდინალური ვითარება მოითხოვს არსებითად გადაისინჯოს უმაღლეს სკოლაში ფსიქოლოგთა სწავლება-მომზადების პროგრამები. ამასთანავე, ისიც უნდა გავითვალიწინოთ ფსიქოლოგიის გარკვეული ცოდნა მეტ-ნაკლებად ყველა პროფესიის სპეციალისტს სჭირდება.

იმედის მომცემია ხელისუფლების მიერ მედიაში გაცხადებული დაპირება, რომ ყველა სკოლას ეყოლება თავისი კვალიფიციური ფსიქოლოგი. ამ საკითხის განხილვისას ისიც ითქვა, თითქოს, ადრეც უნდოდათ სასწავლო დაწესებულებების ამ სპეციალობის კადრებით დაკომპლექტება, მაგრამ, თურმე, ეს ვერ მოხერხდა მათი დეფიციტის გამო, რაც არანაირად არ შეესაბამება სიმართლეს. **ქართული ფსიქოლოგიის სკოლა მისი ჩამოყალიბების დღიდან დღემდე ყოველთვის იყო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების ერთ-ერთ შესანიშნავი კერა**. ამიტომ ქვეყანა არასდროს განიცდიდა ფსიქოლოგთა ნაკლებობას.

ყველასთვის გასაგებია, თუ რა მძიმე პერიოდი უდგას ახლა განათლების სისტემას. ამიტომ მხოლოდ მისასალმებელია განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრის, ბატონ **მიხეილ ჩხენკელის დაანონსებული ნოვაციები: ჯერ ერთი, სკოლებში შევლენ ფსიქოლოგები; მეორე, გადაისინჯება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა, მესამე; განზრახულია მოსწავლეთა ერთიანი ფორმის ტანსაცმლის დანერგვა; მეოთხე, მოგვარდება სკოლაში ურთიერთობები როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ დონეებზე; მეხუთე, სკოლა განთავისუფლდება სასწავლო პროცესებში მშობლების გაუმართლებელი ჩარევისაგან; მეექვე, დასრულდება ვაუჩერიზაციის ხანა; მეშვიდე, გამკაცრდება სწავლების პროცესი მოსწავლეთა ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით; მერვე, მორალურ-მატერიალური თვალსაზრისით უფრო მეტად წახალისდებიან როგორც ბეჯითი მოსწავლეები, ისე ღირსეული მასწავლებლები, დაბოლოს, მეცხრე, მოწესრიგდება პედაგოგთა შრომის ანაზღაურება.**

განზრახულია რიგი სხვა, ასევე, მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება: იგეგმება უმაღლესი სასწავლებლების რიცხვის შემცირება, გაფართოვდება პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, უმაღლეს სკოლაში ბაკალავრიატი დაფინანსდება ბიუჯეტიდან, გამკაცრდება უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები, დაიხვეწება სტუდენტთა დასაქმების ფორმები. ერთი სიტყვით, სათავე დაედება ბევრ მამულიშვილურ საქმეს.

ამ მეტად დიდმნიშვნელოვან სასიკეთო ნოვაციებთან ერთად, სამინისტროს განზრახული ჰქონდა **სკოლებში რელიგიის სწავლების შემოღება, რასაც რიგი სამთავრობო ლიბერასტული ორგანიზაციების საშინელი ისტერიკა მოჰყვა**, დისკრიმინაციულ ნაბიჯად, სკოლებში სიძულვილის წახალისებად, დასავლური ღირებულებების ღალატად შეფასდა, ანტიეროვნულ შეტევაში გადაიზარდა და ახლა ყველანაირად ცდილობენ მის დაბლოკვას.

ძნელია იმის პროგნოზირება, გაუძლებს თუ არა ხელისუფლება უცხოეთიდან დაფინანსებული ანტიეროვნული ძალების ამ მასირებულ შემოტევას?

პედაგოგობა უკეთილშობილესი მოწოდებაა. მოსწავლეს მშობლის შემდეგ მასწავლებელივით არავინ უყვარს, არავინაა მისთვის მასზე ახლობელი, უფრო დიდი ავტორიტეტი. ასე იყო ოდითგან. ამიტომ მოზარდმა უპირველესად ყური თავის მოძღვარს უნდა დაუგდოს, მშობელივით შეიყვაროს, გაუფრთხილდეს მის ღირსებასა და პატივს, მასწავლებელმა კი საკუთარ შვილებად აღიქვას თავისი შეგირდები.

გურამ კვიკვინია,
ფსიქოლოგიის დოქტორი.
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.
(იბეჭდება შემოკლებით)

მილოცვა

მრავალჟამიერ, თქვენი სიცოცხლე!

გოგი ბუკია... მის რეგალიებზე არას ვამბობ, მასთან მცირეოდენი საუბარიც საკმარისია ნასიამოვნები დარჩე...

ქვეყნის სატკივარი სტკივა და სიხარულით ხარობს, ხალისითაც გვავსებს, ხალასი იუმორი მისი ცხოვრების თანმდევია. ჩვენი ხშირი სტუმარია, თავად ჟურნალ-გაზეთებით მოდის და თუ რამე გაგვაჩნია „არ შეგვარჩენს“, ასე, რომ ვავსებთ ერთმანეთს. განსაკუთრებული ხელწერა აქვს, საკუთარი სტატიებითაც ხშირად გვამარაგებს...

დიდი ოჯახის მამა და ბაბუაა, ხშირად, როცა ეს დიდი ოჯახი ხობში იკრიბება, ხელოვნებაზე თუ მედიცინაზე, იურიდიულ თუ პოლიტიკურ საკითხებზე სასაუბრო არ ელევათ... დიდი წინაპრების–სახელოვანი ბაბუებისა და ბებიების შთამომავალთ საამაყო და მოსაგონარი მართლაც ბევრი აქვთ...

წლების განმავლობაში რაიონში (და არა მარტო) ცნობადი სახე იყო. კარგი მეგობარი, მეუღლე, ხელმძღვანელი. უღალატო, სიტყვის კაცი–ასეთი იყო მისი იმიჯი, იყო და არის... აპრილში 80 წლის გახდება, წლების მომატება რა სასიხარულოა, თუმცა თურმე ეს ყველაზე დიდი სიმდიდრე ყოფილაო, ამბობს. ხშირად იგონებს „ძველი დროის“ მეგობრებს. სწუხს, თითო ოროლა რომ შემორჩა ცოდვამადლიან წუთისოფელს... ისევ და ისევ, რომ იტყვიან, წარსულით ცხოვრობს. იხსენებს იმ წლებს, როცა კოლეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, რაიკავშირს ხელმძღვანელობდა, პარტიულ თანამდებობებზე იყო... უხაროდა ადამიანებთან ურთიერთობა, ადამიანური ღირსებებით გამორჩეული სხვისი ჭირისა და ლხინის ზიარი იყო, იმედგადაწურულს იმედად ედგა და მხარს უმაგრებდა. ამ პრინციპით იცხოვრა ქალბატონ ზაირა ჯანჯღავასთან ერთად, ასეთად გაზარდა ვაჟიც და ქალიშვილიც (იურისტი და ექიმი), ასეთივენი არიან შთამომავალნიც.

მასთან საუბარი არმოსაწყენია, ეს უბრალოდ მოლოცვისთვის გავიხსენე...

მომიტევეთ ბატონო გოგი, თქვენზე საუბარი არ გიყვართ, სხვაგვარად არ გამომივიდა, არადა მინდოდა მოლოცვა იმ ბედნიერი დღისა. მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე!..

უდიდესი პატივისცემით

მერი ლაგვილავა.

შრომითა და სიხარულით დახუნძლული 80 წელი

სოფელი ხეთა, 1938 წლის 11 აპრილი, ეს ხომ შენი დაბადების თარიღია ძმაო გოგი.

იყავი პირველი სიხარული, სიყვარული ჩვენი მშობლებისა, რომელიც დიდი ოჯახის თაობებში წესისამებრ-ტრადიციულად გრძელდება.

გადის წლები. მოგონებები წარსულში გვრჩება. ხეთის სკოლა, თბილისისა და სოხუმის ინსტიტუტში მიღებული უმაღლესი განათლება. პერიოდი, როცა სწავლას და შრომას ერთდ უხამებდი. იყავ პარტიული და სხვადასხვა სფეროში მომუშავე მუშაკი. ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის დარგის ხელმძღვანელი.

სტუდენტობის დროს შექმენი ოჯახი. ბედი ხობის რაიონში დამსახურებული იურისტის და სამართლიანი მოსამართლის დავით ჯანჯღავას ქალიშვილ ზაირას დაუკავშირე.

ოჯახი ერთობლივი თანადგომით აღორძინდა და განახლდა. შეგეძინათ ქალ-ვაჟი, მარიკა და დათო ბუკიები. წარჩინებულნი სკოლაში და ინსტიტუტში, მისასალმებელია დედის დაუზოგავი შრომა,შვილების წესიერად, კეთილსინდისიერად აღზრდის საქმეში. შედეგიც სახეზეა; მარიკა–ექიმი, დათო სამართლმცოდნე იურისტია.

შვილებმა შექმნეს ოჯახი, დიდ სიყვარულსა და მოწონებას გამოხატავ, ბიოლოგი რძლის სოფიკო გოგიას და იურისტი სიძის ომარ ჯაიანის მიმართ.

გაჩნდნენ მემკვიდრეები, საყვარელი შვილიშვილები. ცხოვრების ასპარეზზე გამოსული დათა ჯაიანი მიღწეული წარმატებებით არ კმაყოფილდება, მალე სამეცნიერო ხარისხს დაიცავს. ლაშა ლექტორია. რაც შეეხება მარიამ ბუკიას ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტია, მომავალი იურისტი და ინსტიტუტის გამორჩეული სახე.

შენი სეხნია, გიორგი ბუკია მათ ფეხდაფეხ მიყვება, ჯე რ სკოლის მოსწავლეა, ალბათ, ისიც მომავალში იურისტად მოგვევლინება.

ძმაო გოგი! ბედნიერი ბაბუა და მამა ხარ, რადგან აპრილის თვეში დათოს 50 წელი უსრულდება. მას ჯანმრთელობა და წარმატება პირად მეტად საპასუხიმგებლო სამუშაოზე. მათი წარმატება შენთვის სიცოცხლის გახანგრძლივებაა.

როგორც პენსიონერი, ეწევი ოჯახში ყოველგვარ სამუშაოს. შენი თავისუალი დრო: ახალ-ახალი ამბების მოსმენა და პრესის გაცნობაა. გაქვს მოწესრიგებული და დალაგებული ოჯახი, გაგიბედავ და ვამხელ შენს გულში ჩადებულ წუხილს, საერთო საფიქრალსა და ოცნებას. რომ საქართველოში იყოს მშვიდობა-გამთლიანება, პენსიონერებს მშვიდი ცხოვრება, ახალგაზრდების დასაქმება და ერთმანეთის მიმართ უღალატო სიყვარული, ეს სურვილი ყველას აგვსრულებოდეს.

და ბოლოს, ძმაო გოგი, მე ასე მოგილოცე, მართლაც ლამაზად განვლილი 80 წელი. დაგლოცავ; იყავ მხნედ, პატარა ავადმყოფობაც გაივლის, შეუძახე შენს გულს, იყავ ჯანიანად, სიბერის ნუ გეშინია, გული არ გაიტეხო, ჩვენთვის მუდამ უბერებელი იქნები.

გვიყვარხარ, გვეამაყებით მთელი ოჯახი. ღმერთმა დაგლოცოს!

სიყვარულით

გულიანა ბუკია

„მწვანე მომავალი“ მოსახლეობის სამსახურში

ხობის მუნიციპალიტეტში, არასამთავრობო ორგანიზაციის - გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ასოციაცია „მწვანე მომავალი“-ს მიერ, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF SGP) მცირე გრანტების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით და ადგილობრივ ხელისუფლებასთნ თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა განახლებად ენერგო–ტექნოლოგიებზე, მათი შესაძლებლობებისა და ინფორმირებულობის დონის გაზრდის გზით, ხობის მუნიციპალიტეტის ოთხი თემის მაგალითზე“ .

აღნიშნული პროექტი წარმოადგენს ასოციაცია „მწვანე მომავალის“ მიერ 2015–2016 წლებში,„გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF SGP) მცირე გრანტების პროგრამის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ერთგვარ გაგრძელებას, რომლის მიზანიც იყო ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაზრდა გარემოსდაცვითი მმართველობის საკითხებში, მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ეს უკვე მეორე პროექტია რომელიც რეგიონში განხორციელდა (2017-2018წწ.)„მწვანე მომავლის“ მიერ, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF SGP) მცირე გრანტების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით და მი-

სი მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა განახლებად ენერგო–ტექნოლოგიებზე, მათი შესაძლებლობებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება ალტერნატიულ ენერგო–ტექნოლოგიებზე, რომელთა დანერგვითაც შესაძლებელი გახდება ტრადიციულ ენერგო–რესურსებზე მოთხოვნილების შემცირება, ადგილობრივი ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ღონისძიებებში წვლილის შეტანა.

პროექტის მიმდინარეობა მოიცავდა საქმიანობების ორ ეტაპს, რომლის პირველი ეპატი გულისხმობდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას განახლებადი ენერგიების საკითხებზე, ხოლო მეორე ეპატი მოიცავდა კონკრეტულ ქმედებებს - პროექტის ფარგლებში შერჩეული ბენეფიციარებისთვის მზის წყალგამაცხელებელი მოწყობილობების დამონტაჟებას.

პროექტი განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის ექვს ადგილობრივ თემში(ახ.ხიბულა, ხეთა, საჯიჯაო, ქვ.ქვალონი, ქარიატა, ნოჯიხევი) და მის განხორციელებაში აქტიურად მონაწილობდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და მოსახლეობა. პროექტის ფარგლებში ბენეფიციარ თემებში განხორციელდა ადაპტირებული საგანმანათლებლო და საინფორმაციო აქტივობები, შეირჩნენ სამიზნე ჯგუფები, დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი ქმედებების შედეგად, შეიქმნა საინიციატივო ჯგუფები. გამოიცა საინფორმაციო ბროშურები.

ამ ეტაპისთვის, პროექტის ფარგლებში ხობის მუნციპალიტეტში დამონტაჟდა მზის წყალგამაცხელებელი 12 კოლექტორი.

- ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სადაც დამონტაჟდა სამი მზის წყალგამაცხელებელი კოლექტორი, ორი 175ლიტრი ტევადობის (სველ წერტილების ცხელი წყლით უზრუნველსაყოფად) და ერთი 340 ლიტრი ტევადობის - (სამზარეულოს ცხელი წყლით უზრუნველსაყოფად;)

-ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღში,სამზარეულოს ცხელი წყლით უზრუნველსაყოფად, 175 ლიტრი ტევადობის მზის წყალგამაცხელებელი;

-საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საბავშვო ბაღში, რომელიც აღიჭურვა მზის წყალგამაცხელებელი კოლექტორით, 340 ლიტრი ტევადობის ავზით, საბავშვო ბაღის 4 სველი წერტილის ცხელი წყლით უზრუნველყოფად;

- საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ერთ ადგილობრივ მოსახლეს დაუმონტაჟდა მზის წყალგამაცხელებელი კოლექტორი, 175 ლიტრი ტევადობის ავზით,სველი წერტილების ცხელი წყლით უზრუნველსაყოფად;

–თეულში, ორ ადგილობრივ მოსახლეს საცხოვრებელ სახლებში დაუმონტაჟდათ მზის წყალგამაცხელებელი კოლექტორები, 175 ლიტრი ტევადობის ავზებით;

- ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, მცხოვრებ 2 მოქალაქეს დაუმონტაჟდა მზის წყალგამაცხელებელი კოლექტორები, 175 ლიტრი ტევადობის ავზით;

- ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული, ხობის ღვთისმშობლის მონასტერში კელია და საძროხე აღიჭურვა, ორი 340 ლიტრი ტევადობის კოლექტორებით. (თანამონაწილეობითი ქმედება დონორი 65.7 და მონასტერი 34.3)

პროექტის წარმატება განაპირობა, წინასაპროექტო ფაზაში განხორციელებული ქმედებების ერთობლიობამ, რომელთა შედეგადაც ხობის მუნიციპალიტეტის სამიზნე თემებისა და ადგილობრივი სამთავრობო უწყებებისგან წამოვიდა თხოვნა პრაქტიკაში დაგვენერგა განახლებადი ენერგო-ტექნოლოგიები და პოპულარული გაგვეხადა მოსახლეობაში მზის წყალგამაცხელებელი კოლექტორები.

დავიცვათ შენობები აზიური ფაროსანასგან

აზიური ფაროსანა არ კბენს ადამიანს და შინაურ ცხოველებს, არ გადააქვს ადამიანთა და ცხოველთა დაავადებები. ზოგიერთი ადამიანი შესაძლებელია იყოს ალერგიული ან მგრძნობიარე „სუნიანი ხოჭოს“ მიერ გამოყოფილი ნივთიერების მიმართ, თუმცა ეს არაა სიცოცხლისთვის სახიფათო.

ადრეული გაზაფხულიდან შემოდგომამდე აზიური ფაროსანა პარაზიტობს სასოფლო-სამეურნეო ნარგავებზე და ჩვეულებრივ არ შედის ადამიანების საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებში გამოსაზამთრებლად.

აზიური ფაროსანას მიერ გამოწვეული ზიანის შესამცირებლად გაითვალისწინეთ და განახორციელეთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამნისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალიური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული რეკომენდაციები.

თუ თქვენ, თქვენი საცხოვრისის გარშემო მექანიკური ან სხვა საშუალებით შეძლებთ შეამციროთ აზიური ფაროსანას რიცხოვნობა–შემოდგომაზე ნაკლებ შემაწუხებელი იქნება მათი შემოჭრა სახლებში.

შემოდგომაზე აზიური ფაროსანა იწყებს გამოსაზამთრებელი ადგილის ძებნას. ასეთი ადგილი შეიძლება იყოს საცხოვრებელი სახლები. ცხოველთა სადგომები და ყველა ის შენობა, სადაც მშრალი და თბილი გარემოა, განსაკუთრებით მიტოვებული შენობები.

თქვენს სახლში აზიური ფაროსანას შემოჭრის თავიდან აცილება შეიძლება სინათლის ხაფანგით, ხოლო შემოჭრის შემთხვევაში იდეალურია მათი მექანიკური განადგურება–გაჭყლეტის გარეშე.

ფაროსანას მექანიკური განადგურება შესაძლებელია ფრთხილად დაჭერით და მათი საპნიან ხსნარში ჩაყრით.

შესაძლებელია მტვერსასრუტის გამოყენებაც, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ფაროსანას მიერ გამომუშავებული არასასიამოვნო სუნი დიდხანს რჩება მტვერსასრუტში, ამიტომ მტვრის შესაგროვებელი პარკების ცვლა და მილების გარეცხვა ხდება საჭირო.

სასურველია ფანჯრების აბადვა არა მხოლოდ ფაროსანასგან, არამედ ზოგადად მწერებისგან თავის დასაცავად.

ფაროსანების მისატყუებლად და შესაგროვებლად შესაძლებელია 2-4 ნახევარმეტრიანი და კარგად შეკრული მუყაოს ყუთების განთავსება შენობის აივანზე ახლოს დასველებისაგან დაცულ ადგილებზე.

ფაროსანას განადგურება შენობებში შესაძლებელია იმ სადეზინფექციო საშუალებებითაც, რომელთა გამოყენება საფრთხეს არ შეუქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

სადეზინფექციო სამუშაოები უნდა ჩატარდეს შენობებში ბავშვების არ ყოფნის პერიოდში.

სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა ჩატარდეს დამუშავებული ობიექტის დალაგება, გამოყებებული პრეპარატის ინსტრუქციის გათვალისწინებით.

სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისას აუცილებელია უსაფრთხოების წესების დაცვა.

არ დავუშვათ სადეზინფექციო საშუალებების მოხვედრა ლორწოვან გარსზე ან კანზე.

აკრძალულია პრეპარატთან მუშაობის დროს თამბაქოს მოწევა და საკვებისა და წყლის მიღება.

პრეპარატი უნდა ინახებოდეს გარეშე პირებისა დაბბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

დაუშვებელია პრეპარატის უმეთვალყურეოდ დატოვება.

ქიმიური დეზინსექციის ჩატარებისას დეტალურად გაეცანით გამოსაყენებელი პრეპარატის ინსტრუქციას და მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული უსაფრთხოების წესებს.

ინსექტიციდი უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

შენობების შიგნით გამოსაყენებლად.

ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ WWW.ncdc.Ge ვებგვერდზე.

დაიცავით თქვენი სახლი ფაროსანასგან.

შემოდგომაზე, სანამ ფაროსანები ჯერ კიდევ ეძებენ თავშესაფარს, მნიშვნელოვანია გამოავლინოთ ქვემოთ ჩამოთვლილი 8 ადგილი და მოახდინოთ მათი ჰერმეტიზაცია, რათა მოხდეს მათი შემოსვლის რისკების შემცირება. ეს ადგილებია: სხვენი, საკვამური, ფანჯრების აბადვა მწერშეულწეველი ბადეებით, მოაშორეთ მცენარეები სახლიდან. მილების (წყლის და საწვიმარის), კარების, შენობების ბზარების და ნაპრალების ჰერმეტიზაცია.

ვიცოდეთ მეტი ტუბერკულოზის შესახებ

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით ტუბერკულოზის მსოფლიო დღედ არჩეულიქნა 24 მარტი იმ დღის აღსანიშნავად, როდესაც რობერტ კოხმა აღმოაჩინა ტუბერკულოზის გამომწვევი ბაცილა.

ტუბერკულოზი ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ტუბერკულოზის მიკრობაქტერია იწვევს. იგი განკურნებადია, მაგრამ, მაინც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეპიდემიას წარმოადგენს. 2018 წელს დაიგეგმა გაეროს გენერალური ასამბლეის მაღალი დონის შეხვედრა, რაც ხელს შეუწყობს ამ დაავადებით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური ტვირთის შეფასებას და ხაზს გაუსვამს 2030 წლისთვის მისი დამარცხების აუცილებლობას.

საქართველოს მთავრობის, ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორობის, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, დონორი ორგანიზაციების ძალისხმევით ქვეყანაში მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა, მკურნალობა, კონტაქტების ეპიდკვლევა და მკურნალობა უფასოა.

თუ ჩატარებულმა ტესტებმა და გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანი არის დაავადებული აქტიური ტუბერკულოზით, შესაძლოა გაჩნდეს შემდეგი კითხვები.

როგორ ემართება ადამიანს ტუბერკულოზი?

–ტუბერკულოზით შესაძლოა დაავადდეს ყველა ჩვენთაგანი. აქტიური ტუბერკულოზით დაავადებული პირი ლაპარაკის, სიცილის, მთქნარების და ხველების დროს გამოყოფს ბაქტერიას ჰაერში, ახლოს მყოფი პიროვნება ჩაისუნთქავს მიკრობის შემცველ ჰაერს და ამ გზით იგი შეიძლება მოხვდეს მის ფილტვებში.

ტუბერკულოზი ვრცელდება ჰაერით. ის არ გადადის ჭურჭლით, თეთრეულით, საყოფაცხოვრებო ნივთებით, ხელის ჩამორთმევით. ამიტომ არ არის საჭირო საცხოვრებელი ადგილის დეზინფექცია, ოთახების განიავებაც საკმარისია.

თუ მიკრობი მოხვდება ფილტვებში, უმრავლეს შემთხვევაში დამცავი ძალები ბოჭავს მას, არ აძლევს გამრავლების საშუალებას და გადაჰყავს მძინარე, უმოქმედო მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში ადამიანი არის ლატენტური ანუ ფარული ტუბერკულოზით ინფიცირებული და არა დაავადებული. ადამიანი შეიძლება დარჩეს ინფიცირებული ლატენტური (ფარული) ტუბერკულოზით მთელი სიცოცხლის განმავლობაში და არ განუვითარდეს ტუბერკულოზი. ინფიცირებულთა უმრავლესობა არ ავადდება. დაავადების განვითარება ხდება მაშინ, როცა მიკრობი „იღვიძებს“ და აზიანებას ფილტვებს. ეს ხდება ორგანიზმის იმუნიტეტის დასუსტებისას, ამ დროს ვითარდება აქტიური ტუბერკულოზი.

როგორ მოქმედებს ტუბერკულოზის მიკრობაქტერია ადამიანის ორგანიზმზე? ტუბერკულოზის მიკრობი ყველაზე ხშირად აზიანებს ფილტვის ქსოვილს, თუმცა შესაძლოა დაზიანდეს სხვა ორგანოებიც.

დაავადებულ პირებს აღენიშნებათ ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ერთ-ერთი, ან რამდენიმე ერთად.

2-3 კვირაზე მეტ ხანს გახანგძლივებული ხველა; წონაში დაკლება; მადის დაქვეითება; ოფლიანობა ღამით; ტემპერატურის მატება; ზოგადი სისუსტე; ტკივილი გულმკერდის არეში; სისხლიანი ხველა (წითელი ან მუქი ყავისფერი ნახველით).

როგორ ხდება ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმა ექიმის მიერ?

–ექიმის მიერ დიაგნოზის დასასმელად საჭიროა რამდენიმე სახის გამოკვლევა.

* კანის მანტუს სინჯი იმისთვის, რომ დადგინდეს ორგანიზმში მიკრობების არსებობა (ლატენატური ტუბერკულოზის დიაგნოზი).

* რენტგენოლოგიური გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ დააზიანა თუ არა ბაქტერიამ ფილტვის ქსოვილი.

* ნახველის ანალიზით ვიგებთ მრავლდება თუ არა ორგანიზმში მიკრობი.

როგორ ვიგრძნოთ თავი უკეთ?

–მიჰყევით თქვენი ექიმის მიერ მიცემულ მითითებებს. ტუბერკულოზის ბაქტერია არის საკმაოდ ძლიერი და ორგანიზმში დიდი ხნის განმავლობაში ცოცხლობს. საწყის ეტაპზე მედიკამენტების მიღებისას პაციენტი თავს უკეთ იგრძნობს, მაგრამ ეს არ არის მკურნალობის დასასრული, ექიმის დანიშნულებით მკურნალობა ბოლომდე უნდა გაგრძელდეს.

როგორ ხდება დაავადების გავრცელება და როგორ დავიცვათ თავი ტუბერკულოზის ფილტვის ფორმით დაავადებული ადამიანებისგან?

–სხვების დაავადება ხდება ტუბერკულოზის მიკორობებით დაბინძურებული ჰაერით. ეს რომ არ მოხდეს, უნდა დავიცვათ შემდეგი წესები.

* ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება. ბაცილგამომყოფი პაციენტის მიერ ერთჯერადი ნიღბის, ხოლო პაციენტთან მჭიდრო კონტაქტში მყოფი პირების მიერ (სამედიცინო პერსონალი, ოჯახის წევრი, მომვლელი) სპეციალური რესპირატორის გამოყენება.

* კარგი ვენტილაცია–ოთახის ხშირი და სწორი განიავება, ისე რომ ჰაერის ნაკადი მიემართებოდეს შენობიდან გარეთ. მხოლოდ ამ გზით მცირდება პაციენტის მიერ გამოყოფილი მიკრობების შემცველობა ჰაერში.

* ცალკე ოთახის გამოყოფა, ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული ბაცილაგამომყოფი პაციენტთან ურთიერთობის ხანგრძლივობისა და სიმჭიდროვის შემცირება.

მკურნალობის დაწყებიდან 2–3კვირის შემდეგ, როგორც წესი, პაციენტი არ არის ბაცილაგამომყოფი, ამიტომ პაციენტს შეუძლია დაუბრუნდეს სამუშაოს, სკოლას და სხვა აქტივობებს.

კონტაქტში მყოფ პირს (ოჯახის წევრი, სამსახურის თანამშრომელი) აქვს რისკი, რომ ის არის ინფიცირებული ან დაავადებული ტუბერკულოზით. მან უნდა მიმართოს ფტიზიატრს, სადაც კონტაქტირებულ პირებს უფასოდ ჩაუტარდება აუცილებელი გამოკვლევები.

მსოფლიოში ყოველწლიურად ტუბერკულოზით დაახლოებით 9 მილიონი ადამიანი ავადდება და 2 მილიონამდე ადამიანი კვდება.

2030 წლის მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მიერ დაგეგმილია ტუბერკულოზით გამოწვეული ავადობის 90%-ით შემცირება, ხოლო სიკვდილიანობის 95%-ით. ისინი მოგვიწოდებენ ერთობლივი და აქტიური მოქმედებისკენ ტუბერკულოზის გლობარული ეპიდემიის დასასრულებლად.

ოჯახის წევრების, ახლობლების და საზოგადოების მხარდაჭერა ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტს უფრო მოტივირებულს ხდის სწორი მკურნალობისთვის.

დაავადების დროულად დიაგნოსტირებისა და მკურნალობის ბოლომდე მიყვანის შემთხვევაში ტუბერკულოზი ინკურნება.

ჯუმბერ ტურავა,

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე-ექიმი პროფილაქტიკოსი.

სულთათანა

„ბაბუ“—ზნეობრივი კაცი
(როდინა ჟვანია)

ჩემი ცხოვრების მანძილზე, ასეთი კაცთმოყვარე, კეთილშობილი, პატიოსანი, გულმართალი და გულთაფლიანი კაცი არ შემხვედრია. მის სახეზე ამოიკითხავდი თუ როგორი ღირსებით შემკული ადამიანი იყო. მქონდა ბედნიერება ბატონ როდინა ჟვანიასთან ერთად წლების მანძილზე მემუშავა.

ბატონი როდინა ყველა ხობელისთვის საყვარელი და მოსაფერებელი კაცი იყო. დიდი თუ პატარა, უმცროსი თუ უფროსი ყველა „ბაბუთი“ მიმართავდა (ზოგიერთს ეს მისი ნამდვილი სახელიც კი ეგონა). ბატონი როდინა ჭკუასაკითხავი კაცი იყო, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე. გამგეობის თანამშრომლები ხშირად ვიკრიბებოდით მის კაბინეტში. ბევრ რაღაცეებს ვეკითხებოდით. ის კი, როგორც ჩვეოდა, დინჯად, აუღელვებლად გვეტყოდა: „ბაბუ“ ასე ჯობია, ასე უნდა, სანამ რომელიმე შემოსულ წერილს პასუხს გასცემდეთ, რამდენიმეჯერ უნდა წაიკითხოთ, არ უნდა იჩქაროთო.

თუ რამე ვიცით, მე და ჩემმა მეგობრებმა, ეს „ბაბუს“ დამსახურებაა. ხუმრობდნენ ხოლმე, მთავრობა მიდის, მთავრობა მოდის, როდინა ჟვანია კი უცვლელიაო. მართალიც იყო, ასეთ ერთგულ და უღალატო ადამიანს ვინ შეელეოდა. მის პატიოსნებაზე და მიამიტობაზე ლეგენდები დადიოდა. ასეთი რამ მეც მომისმენია. მაშინდელ რაიკომის მდივანს როდინა ჟვანია საკონსერვო ქარხნის დირექტორად დაუნიშნავს. უფიქრიათ, პატიოსანი კაცია, ყველა უბედურება იქ ხდება და იქნებ გვეშველოსო. ზოგიერთები წინააღმდეგი ყოფილა–არ არის მაგის კაცი როდინაო, მაგრამ მდივანს აზრი მაინც არ შეუცვლია. მართალი გამომდგარან ოპონენტები. ასეთი უპატიოსნესი კაცი რას გააწყობდა „დახელოვნებულ“ საქმოსნებთან, რამდენიმე თვის შემდეგ „ბაბუ“ თვითონ მისულა პირველ კაცთან თხოვნით, მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. იმდროისთვის, ალბათ, წარმოუდგენელი იყო საკონსერვო ქარხნის დირექტორობიდან განთავისუფლების განცხადება ვინმეს თავისი სურვილით დაეწეროს, მაგრამ მისი დაჟინებული თხოვნით ისევ დაუბრუნებიათ „ბაბუ“ რაიკომში და განყოფილების გამგედ დაუნიშნავთ. მეგობრები ხუმრობდნენ თურმე, იქიდან დირექტორებს აქეთ მოჰქონდათ, როდინას ერთადერთი პალტო საკიდზე დარჩა და ვიღაცამ ისიც მოპარაო..

მას შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე გამგეობაში იმუშავა ადმინისტრაციის უფროსად. ძალიან დაგვწყდა გული მისი ნაადრევად გარდაცვალების გამო... უდიდესი სიყვარულის დადასტურება იყო უკანასკნელ გზაზე გაცილების დღე, მისი ცხედარი ზღვა ხალხმა, ტაშით გააცილა იმქვეყნად...

ძალიან გვენატრები, ეს კი შენი სიცოცხლის უკვდავებაზე მიუთითებს. პირველი აპრილი შენი, ერთი ზნეობრივი კაცის დაბადების დღეა, გილოცავთ ზეციურ საქართველოში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი მართალი და ნათელი სული.

ბეჟან ნადარაია.

ტკბილად იძინეთ...

წლებმა ერთ საქმეს მიგვაჯაჭვა, გაზეთი ჩვენი ყველას ერთნაირი საზრუნავი გახლდათ. გაზეთის რედაქცია და სტამბა ერთმანეთზე დამოკიდებული, სხვადასხვა, მაგრამ ერთი ძლიერი ორგანიზმი იყო. რომელთათვის ყველაზე პრიორიტეტული გაზეთის გამოცემა იყო. სათნო და პროფესიონალი ქალბატონები დუშა ცხადაია-თევზაძე, ფაცა კუჭავა-ჭაკუა, ჟენია ჭაკუა და სხვა მრავალ თანამშრომელთან ერთად ამ გაზეთის სულისჩამდგმელები, ხელხემალი ბრძანდებოდნენ.

დრო სწრაფად გაილია. ხობის სტამბის არსებობა დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. გაზეთს ხობის რედაქცია ქუთაისში აწყობდა, აკაბადონებდა და ბეჭდავდა... ასე რომ სტამბის ლიკვიდაციის შემდეგ იქ მომუშავენიც ჩვენთვის, რედაქციელებისთვის მხოლოდ მოგონებად და მეგობრებად დარჩნენ.

დუშა დეიდა ოჯახთან ერთად ზუგდიდში გადავიდა საცხოვრებლად. ფაცა დეიდა ისევ ხობში ცხოვრობდა, მათ იშვიათად ვხვდებოდით. წლებმა მათ საკმარისად დაათოვა... ადრე თუ მათი ცხოვრების ყველა ნიუანსი ვიცოდით, შემდეგ მხოლოდ ოჯახის წევრებისგან ან სხვა პირებისგან ვგებულობდით. დაშორება ცხოვრებამ მოიტანა.

ყოფილი თანამშრომლების და მეგობრების გზებიც გაიყარა, ისინი ერთმანეთს ვერ ხვდებოდენ. ერთმანეთი კი კვლავ უყვარდათ და ენატრებოდათ. თითოეული თავიანთ სიხარულს, დარდსა თუ ნაღველს ერთმანეთს ვერ უზიარებდნენ. თუმცა ისე მოხდა, რომ ორივენი ერთდროულად, ერთ თვეში წავიდნენ ამქვეყნიდან და მარადისობას შეუერთდნენ.

თქვენ თითოეულ რედაქციელს ძალიან გვიყვარხართ. ათეული წლების მანძილზე ხომ ერთ საქმეს–გაზეთის გამოშვებას ვემსახურებოდით–თქვენ სტამბელები, ჩვენ რედაქციელები...

ჩემო საყვარელო დუშა და ფაცა, თქვენ კარგად იცით, როგორ მიყვარდით, პატივს გცემდით. ბევრჯერ ერთი თეფშიდან მივირთმევდით, ერთი სიხარული და ტკივილიც გვქონია...

ჩემო უფროსო ქალბატონებო, ძალიან დამენანეთ. ვწუხვარ, რომ სუბიექტური მიზეზების გამო უკანასკნელ გზაზე ვერ გაგაცილეთ. რისთვისაც გებოდიშებით.

უფალს ვთხოვ, ორივენი ნათელში იყოთ. თქვენი ახლობლების, შვილების, შვილიშვილებისა და მათი შთამომავლების მიერ დანთებულ სანთლებს თქვენთვის გზა გაენათებინოს, მარადიულ სამყოფელში ტკბილად იძინეთ.

ვწუხვარ და დაგვიანებით ვუსამძიმრებ თქვენს შვილებსა და ახლობლებს.

ნანი კილასონია

ანრი ჯგერენაია

„მე არ მომკვდარვარ, ფერი ვიცვალე, გამომატარეს ცრემლების ზღვაში, მე მხოლოდ ბინა გამოვიცვალე დედამიწიდან გავფრინდი ცაში“.

რა არის უბედურება? ვერავინ მოუძებნა მას დღემდე ზუსტი განმარტება. ეს, ალბათ, უზომო ტკივილი, ცრემლები, დარდი და გლოვაა. იმ ტრაგედიიდან მოყოლებული ყველა ფიქრობს, რატომ მოხდა ეს უბედურება? რისთვის იყო საჭირო ასეთი მსხვერპლი? ამ კითხვებზე პასუხის მოლოდინში მიილია ტკივილიანი სამი წელი. დიდ მამულიშვილს უთქვამს: სიცოცხლე სიკვდილის მოსაცდელიაო. ვაი, რომ შენთვის ეს მოსაცდელი მხოლოდ ათი წელი აღმოჩნდა. რაოდენ ახლოსაა შენი დაბადების და გარდაცვალების თარიღი. ამ ავადმოსაგონარ დღეს თითქოს წამით შეჩერდა დრო, გაირინდა გარემო, მწუხარებამ მოიცვა შენი მშობლები, დები, ნათესავები, შენი თანატოლები. ჯერაც სიცოცხლედაუმტკბარმა მოზარდმა ერთ წუთში გადაინაცვლე უკვდავებაში.

ანრი, შენ ყველასგან გამორჩეული, დინჯი, მოწესრიგებული და თავაზიანი იყავი. ყველა შენს თანატოლს უყვარდი, ისინი ამოდიან შენს საფლავთან ყვავილებით, ეფერებიან შენს უსულო სხეულს, უნებლიედ თითქოს შენ გეძახიან, თითქოს რაღაცას გეკითხებიან, მათ უმზერ შენი მომღიმარი სახით და სევდიანი თვალებით. შენ, მარადისობაში გადასულს ხშირად გიგონებთ, მაგრამ უცრემლოდ ვერა და ვერა. შენ უკვე მერვეკლასელი ხარ. შენი ხალისიანი სახით და ჭკვიანური გამოხედვით როგორ დაამშვენებდი შენს მშობლიურ სკოლას. შენი მშობლებისთვის ლელა და გიასთვის, დები მარი და ნინოსთვის, ნათესავებისთვის ყოველი წუთი საუკუნეა, რაოდენ მძიმეა ეს ტკივილი, როცა მშობლები ოჯახში არ მოელიან შვილს, რომლის ბადალი არავინ და არსად გააჩნდათ.

ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელებაა, ის მუდამ ამარცხებს სიკვდილს. შენს უკვდავსაყოფად ყოველ წელს იმართება ტურნირი ფეხბურთში და ჭადრაკში. დიდი მადლობა ამ ღონისძიების მესვეურთ–მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ბატონებს გოჩა ქაჯაიას და ედიშერ ჯობავას, შენს საყვარელ ბიძას ბატონ რომან ჯგერენაიას ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

ცხოვრება საოცარი რამ არის. ის მაინც თავისი გზით მიდის. შენი მშობლები კვლავ შენი ცხოვრებით ცხოვრობენ ყოველდღე ლოცულობენ შენი სულის გადასარჩენად. ეფერებიან შვილებს მარის და ნინოს, მათი შთამომავლობა ხომ ცხოვრების გაგრძელებაა.

ჩემო ანრი! ყველასთვის სანატრელო, სიამაყევ, ჩვენო დარდო და მოუშუშებელო ტკივილო, მშობლების, საყვარელი დების, ნათესავების ლოცვა გაგინათებს გზას მარადიულ სასუფეველში.

გვიყვარხარ და გვენატრები!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ჯანსაღი და მთის ანკარა წყაროსავით სუფთა სული.

ალექსანდრე (საშა) არჩაია.

ქ. ხობის №2 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

გიო ბუკია

5 წელი გავიდა ჩვენი ოჯახის ტრაგედიიდან. გვიკვირს, როგორ შევძელით მდგომარეობიდან გამოსვლა. ალბათ, ყველაფერი უფლის ნება იყო. ავტოავარიამ შეიწირა შენი სიცოცხლე, ჩვენო ლამაზო და მოცეკვავე ბიჭო. ცხოვრებამ თავისი გზით გვატარა, დღემდე შენი მონატრებით ვცოცხლობთ.

უკვე 2 წლის დაიკო გყავს, პატარა მარიამი, შენს შემდეგ დაიბადნენ ბიძაშვილები ილია და ბარბარე. ისინი სიყვარულით ეფერებიან შენი საფლავის ქვას. იციან, რომ ზეცაში ხარ, გვთხოვენ პასუხს კითხვაზე–როდის დაბრუნდება?

ძნელია უშენობა. სიტყვა უძლურია იმ ტკივილის გამოსახატავად, რომელსაც შენი სახელი ჰქვია.

ჩვენ, ბებია და ბაბუა შენთან შეხვედრის მოლოდინით ვცოცხლობთ. უფალს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული.

დარეჯან და ზურაბ ბუკიები.

8 აპრილი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულია

აღდგომის დღესასწაულს არაერთი საინტერესო ტრადიცია უკავშირდება. ამჯერად თვალის ერთი გადავლებით მიმოვიხილავთ ზოგიერთ მათგანს

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!–ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომიდან ამაღლებამდე, 40 დღის განმავლობაში და ამით იმ ნეტარ 40 დღეს აღნიშნავენ, მკვდრეთით აღმდგარმა იესომ რომ გაატარა თავის მოწაფეებთან.

რატომ არის მოძრავი აღდგომის დღესასწაული?

მოსეს მიერ ებრაელთა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოყვანას, ანუ პასექს - გაზაფხულის ბუნიობის დღეს ზეიმობს ებრაელი ერი. ამავე, მთვარის ავსების დღეს აცვეს ჯვარს იესო ქრისტე, მასამე დღეს კი, კვირას, უფლის საფლავთან გამთენიას მისულ მენელსაცხებლე დედებს ღვთის ანგელოზმა ახარა: "ნუ გეშინინ თქუენ, რამეთუ იესოს ნაზარეველსა ჯუარცმულსა ეძიებთ, არა არს აქა, რამეთუ აღდგა... და ადრე წარვედით, და უთხარით მოწაფეთა მისთკა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით და აჰა, წინ მიგიძღვით გალილეისკენ". თავდაპირველად აღდგომა ებრაელთა პასექს ემთხვეოდა, შემდგომ კი ეკლესიის დადგენილებით, უფლის აღდგომა მთვარის აღვსების პირველივე კვირადღეს აღინიშნება და მოძრავიც ამიტომ არის.

ფითელი კვერცხი

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მართლმადიდებელი სამყარო წელს 8 აპრილს აღნიშნავს. აღდგომის დღესასწაულთანაა დაკავშირებული კვერცხის წითლად შეღებვის ტრადიცია.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში გააგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. მაცხოვრის მიმდევარი და მისი ერთგული მარიამ მაგდალინელი საქადაგებლად რომში ჩავიდა. ის ქვეყნის მმართველს იმპერატორ ტიბერიუსს (14-34 წ)წა-

რუდგინეს. არსებობდა ასეთი წესი, ყველა იმპერატორთან წარდგენილს მისთვის თუნდაც სულ მცირე, რაიმე ძღვენი უნდა მიეტანა. მარიამმა იმპერატორს ძღვნად კვერცხი მიართვა და ახარა:–ქრისტე აღდგა! „ამის დაჯერება ისევე ძნელია, როგორც ამ კვერცხის გაწითლება"– ჩაიღიმა იმპერატორმა და სიტყვა არც ჰქონდა დასრულებული, რომ კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა.

გაოცებულ ტიბერიუსს მარიამმა მოუთხრო იესო ქრისტეს ცხოვრებაზე, ჯვარცმასა და მკვდრეთით აღდგომაზე. კვერცხი ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. ეს მოვლენა გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა სიმბოლურად ერთმანეთისთვის წითელი კვერცხით მიელოცათ. კვერცხის შეღებვის ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება.

ტრადიციის თანახმად, სააღდგომო კვერცხები წითლად, წითელ პარასკევს მზის ჩასვლამდე იღებება. კვერცხის შესაღებად ძირითადად ბუნებრივ საღებავს, ენდროს იყენებენ და ზოგჯერ ხახვის ფურცლებსაც უმატებენ.

შეგახსენებთ, წითელი პარასკევი ყველაზე მძიმე დღეა წლის განმავლობაში. ამ დღეს მოხდა ჯვარცმა და ხორციელი სიკვდილი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

საერთოდ, კვერცხი მარდიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი სიცოცხლე მოგვანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმიდა და აკურთხა.

არტოსი

აღდგომის ერთ-ერთ ტრადიციას განეკუთვნება არტოსის კურთხევა - პატივად და დიდებად და მოსახსენებლად დიდებული აღდგომისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. „არტოსი" ბერძნული სიტყვაა და პურს ნიშნავს.

არტოსის კურთხევის ტრადიცია მოციქულების ეპოქას უკავშირდება: უფალი იესო ქრისტე აღდგომის შემდეგ თავის მოწაფეებს ეცხადებოდა და მათთან ერთად ტრაპეზობდა (საქმე 10, 41). მისი ზეცად ამაღლების შემდეგ მოციქულებს მარად ახსოვდათ მაცხოვრის სიტყვები: „აჰა, ესერა მე თქუენთანა ვარ ყოველთა დღეთა" (მთ. 28, 20) და თავიანთ შეკრებებზე ცხოველი რწმენით შეიგრძნობდნენ მის სიახლოვეს. მაგრამ რამდენადაც ხორციელი თვალით არ შეეძლოთ ეხილათ უფალი, ტრაპეზისას მაგიდასთან ცარიელ ადგილს ტოვებდნენ იქ, სადაც ადრე მაცხოვარი იჯდა, ხოლო მის პირდაპირ, მაგიდის შუაგულში, დებდნენ პურის ნაწილს, რომელიც იესოსთვის იყო განკუთვნილი. აქ უხილავად სუფევდა თავად უფალი. ტრაპეზის დასასრულს მოციქულები მადლობას სწირავდნენ ღმერთს, იღებდნენ ამ პურს, აღამაღლებდნენ და ამბობდნენ: „ქრისტე აღსდგა". როცა სახარების საქადაგებლად ისინი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაიფანტნენ, შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ამ ტრადიციის შენარჩუნებას.

ეკლესიის წმიდა მამებმა ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე, მოწაფეთა შორის მისი გამოცხადებების აღსანიშნავად დაადგინეს, რომ ტაძარში პური ანუ არტოსი დაედოთ. არტოსზე გამოსახულია ან ჯვარი ეკლის გვირგვინით, ოღონდ ჯვარცმულის გარეშე - ქრისტეს მიერ სიკვდილზე გამარჯვების ნიშნად, ანდა ქრისტეს აღდგომა. ტაძრებში ეს პური მთელი ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში ღია ტრაპეზის შუაგულში ასვენია. არტოსის მომზადებით წმიდა ეკლესია მოციქულებს მიემსგავსება და ამ წმიდა პურით მოგვაგონებს, რომ მკვდრეთით აღდგომილი იესო ქრისტე გახდა ჩვენთვის ჭეშმარიტი პური ცხოვრებისა, რაც მისი კურთხევის ლოცვებშიც კარგად მოჩანს. ამ ლოცვებში მდვდელი ღვთისაგან ლოცვა-კურთხევას გამოითხოვს და შესთხოვს, რომ განკურნოს სნეულნი და ჯანმრთელობა მიანიჭოს იმათ, ვინც მას რწმენით იგემებს. არტოსის კურთხევა აღდგომის პირველ დღეს ლიტურგიის შემდეგ სრულდება, მორწმუნეებს კი იგი ბრწყინვალე შაბათს, წირვის შემდეგ ურიგდებათ. ქრისტიანები ფიზიკური თუ სულიერი უძლურების შემთხვევაში

მას უზმოზე, ლოცვების წარმოთქმის შემდეგ იღებენ.

* * *

ბოლო დროს ჩვენში წესად დამკვიდრდა სასაფლაოზე ზუსტად აღდგომა დღეს - კვირას გასვლა. ეს მართებული არ არის, რადგან ამ დროს ადამიანს გლოვა არ შეშვენის. ქრისტიანი აუცილებლად ტაძარში უნდა შეეგებოს ამ დღესასწაულს და საფლავზე მეორე დღეს გავიდეს, რათა მიცვალებულებსაც ახაროს ქრისტეს აღდგომა და ამის ნიშნად საფლავზე წითელი კვერცხი გადააგოროს.

* * *

მორწმუნეები ამბობენ, ვინც აღდგომას ან ბრწყინვალე შვიდეულში გარდაიცვლება, პირდაპირ სასუფეველში ხვდება. აღდგომისას დახშულია ჯოჯოხეთის კარი, სამაგიეროდ ყველასთვის გახსნილია კარი სამოთხისა. თუ უფალი ამ დღეებში ვინმეს გარდაცვალებას ინებებს, გიხაროდეთ, რადგან მათია სასუფეველი ცათა.

აღდგომასა და ბრწყინვალე შვიდეულში ეკლესიებში აღსავლის კარი არ იკეტება, რათა ყველამ იცოდეს, რომ სასუფეველი არასდროს არ არის ასე ახლოს ჩვენთან, როგორც ამ დღეებში.

ჯეჯილი

ბზობის კვირას მორწმუნეების ძველი ქრისტიანული ჩვეულების მიხედვით, ხორბალს თესენ. ამისთვის, ლანგარზე დებენ წყალში დასველებულ ბამბას და მასზე მუჭით მცირეოდენ ხორბალს მიმოფანტავენ. ხორბალი ღვივდება და იზრდება ჯეჯილი.

ძველი ქრისტიანული წესის თანახმად, მორწმუნეები აღდგომის დღესასწაულს ერთმანეთს პასკითა და ჯეჯილში ჩადებული წითელი კვერცხებით ულოცავენ.

მწვანე ჯეჯილი სიმბოლოა ახალი ცხოვრებისა, რომელიც ჩვენ იესო ქრისტემ მოგვანიჭა თავისი აღდგომით.

პასკა

პასკას ქრისტიანები სააღდგომოდ აცხობენ და მიირთმევენ იესო ქრისტეს აღდგომის რწმენის ნიშნად. იგი არის იმ მთის სიმბოლო, რომელზეც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. პასკა აგრეთვე აღდგომის სიხარულისა და ქრისტიანთა ერთობის სიმბოლოცაა.

შიფვორდი

თ	ო	ლ	ი	ა
25	20	15	10	5

25	20	9	4	10	11	8		5	25	10	4	5	25	10
5		8										9		5
15		11	5	6	9	10		6	9	20	18	5		14
1		20		5						2		12		20
5		9		25	7	8		11	10	20		8		4
2		6		7		9		10		4		25		10
10		10		10		5	3	10		10		10		5
							14							
16		5		6		2	5	20		18		2		6
10		3		9		13		6		9		8		8
9		14		5	9	8		5	3	20		23		3
5		10		2						2		3		14
4		4	10	5	7	10		22	9	5	2	10		5
10		19										11		4
5	4	5	17	20	9	5		2	21	8	9	5	15	10

შეადგინა იაგო ჭაავამ.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.